პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 19 (12835)

ხუთშაბათი, 23 იანვარი, 1964 წ.

ფასი 2 კაპ.

ღირსეული შეხვედრა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას!

შრომითი საჩუქრები

ქუთაისი. (საკ. კორ.). პირველი, ვინც ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში შვიდწლედის მეექვსე წლის რაციონალიზატორული ანგარიში გახსნა, სიჩქარეთა კოლოფის საამქროს გამმართველი ი. ბაზარაძე აღმოჩნდა. რესპუბლიკის დამსახურებულმა რაციონალიზატორმა უკვე შეიტანა სამი წინადადება.

ახალი წლის პირველ დღეებში წარმოებაში დაინერგა სატვიფრო-საიარაღო საამქროს ცხელი ტვიფრების უბნის უფროსის ზ. ჯანხოთელის რაციონალიზატორული წინადადება.

მარტო იანვრის პირველ ნახევარში ქარხნის ნოვატორებმა 60-ზე მეტი წინადადება შეიტანეს. ეს სიახლეები მათ საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას მიუძღვნეს.

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცი და ქიმია მჭიდროდ არიან, დაკავშირებულნი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქიმიური მრეწველობა დიდძალ უმაღლესი ხარისხის მარგანეცს — პეროქსიდებს მოითხოვს. იგი მდის ლენინგრადსა და კუზბასში, ლისიჩანსკსა და ბერეზნიკოვსკში.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა ახლახან თავისი პროდუქცია გაუგზავნა ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ხიმიკს", ლისიჩანსკის ქიმკომბინატს, ბერეზნიკოვსკის თუთიის ქარხანას, ქარხანა „კუზბასელემენტს" და სხვ.

პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის ახალი წარმატებებით შეხვდეს საქართველოს კპ XXII ყრილობას, ძვირფასი ნედლეული არ მოაკლოს ქიმიურ მრეწველობას.

მეგობრობა, ძმობა, სოლიდარობა

საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივი კომუნიკე

საბჭოთა კავშირში ამხანაგ ფიდელ კასტროს ყოფნის შესახებ

კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ამხანაგი ფიდელ კასტრო რუსი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით 1964 წლის იანვარში მეგობრული ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში.

ამხანაგ ფიდელ კასტროს ახლდნენ მაიორი პედრო მირეტი, მაიორი ალდო სანტამარია, მაიორი რენე ვალიეხო, კაპიტანი ბიენვენიდო პერესი და სხვა პირები.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ამხანაგი ფიდელ კასტრო შეხვდა და ესაუბრა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს. საუბრებში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ნ. კოსიგინმა, ა. ი. მიკოიანმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნმა ამხანაგმა ო. ვ. ანდროპოვმა, აგრეთვე ამხანაგებმა რ. ი. მალინოვსკიმ, ვ. ვ. კუზნეცოვმა, ა. ა. გრეჩკომ და სსრ კავშირის ელჩმა კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევმა.

ამ შეხვედრებისა და საუბრების დროს, რომლებმაც გულახდილ გულითად ვითარებაში ჩაიარა, მოხდა აზრთა ყოვლმხრივი ურთიერთგაზიარება სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საკითხებზე, ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე, აგრეთვე მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე.

ყველა განხილულ საკითხზე დადასტურდა შეხედულებათა სრული ერთიანობა.

ორივე მხარე დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ნამდვილად ძმური ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა იმ პერიოდში, რომელმაც განვლო სსრ კავშირში ამხანაგ ფიდელ კასტროს პირველი ვიზიტის მომენტიდან. ეს ურთიერთობა ვითარდება მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპების, მიზნების ერთიანობის, გულწრფელი მეგობრობის, ამხანაგობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე. საბჭოთა კავშირსა და კუბის რესპუბლიკას, მათს ხალხებს აერთიანებს ის მისწრაფება, რომ განახორციელონ კომუნიზმის ნათელი იდეალები.

საბჭოთა ხალხს ახარებს დიდი წარმატებანი, რომლებიც გმირმა კუბელმა ხალხმა მოიპოვა სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიისა და რევოლუციური მთავრობის ხელმძღვანელობით ამხანაგ ფიდელ კასტროს მეთაურობით კუბის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ განვლილ სახელოვან ხუთ წელიწადში. კუბის რესპუბლიკა, რომელმაც ძირეული სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნები განახორციელა, მტკიცედ მიდის წინ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზით. კუბა გახდა სოციალიზმის მაუწყებელი ამერიკის კონტინენტზე.

ამხანაგმა ფიდელ კასტრომ აღნიშნა, რომ კუბაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ახლანდელ ეტაპზე სოციალისტური რევოლუციის ერთიანმა პარტიამ და კუბის რევოლუციურმა მთავრობამ ყურადღების ცენტრში დააყენეს სამეურნეო მშენებლობის, ეკონომიკის განვითარების, მშრომელთა ცხოვრების კულტურული და მატერიალური დონის ამაღლების ამოცანები. სულ უფრო მეტ მთავარანიშებელ როლს ასრულებს სოციალისტური დაგეგმვის მეთოდები. ჩაღდება ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მთელი ეკონომიური რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის. ფართო ფრონტით წარმოებს ეროვნული მეცნიერული და ტექნიკური კადრების მომზადება. 1964 წელი კუბაში გამოცხადებულია „ეკონომიკის წლად". კუბელი ხალხი დარწმუნებულია, რომ წარმატებით გადაჭრის თავისი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის უზარუნველყოფის ამოცანას, მათ შორის ისეთი დიდმნიშვნელოვანი მიზნის მიღწევას, როგორიც არის 1970 წლისათვის შაქრის წარმოების გადიდება კუბაში 10 მილიონ ტონამდე.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა უამბო ამხანაგ ფიდელ კასტროს, თუ რა წარმატებებია მოპოვებული გასულ წელს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში. ამასთან მან განსაკუთრებით აღნიშნა საბჭოთა კავშირის ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პროგრამა, რომელიც 1963 წლის დეკემბერში მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და რომლის რეალიზაცია შესაძლებელს გახდის შეიქმნას ბაზა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, მთელი საბჭოთა ეკონომიკის განვითარების კიდევ უფრო სწრაფი ტემპებისათვის, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება იმ გზაზე, რომ სსრ კავშირში შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამხანაგმა ფიდელ კასტრომ აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხი, ახორციელებს რა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ფართო პროგრამას, ასრულებს დიდ ინტერნაციონალურ ამოცანას, თვალსაჩინო წვლილი შეაქვს მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცების საერთო საქმეში, მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლაში თვისი განთავისუფლებისათვის, ჩაგრულ ხალხთა მოძრაობაში იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის დაცვისა და ხალხთა უშიშროების საქმეში.

ორივე მხარემ აღნიშნა, რომ სოციალიზმის მშენებლობა კუბაში ხორციელდება იმ პირობებში, როცა ამ ქვეყანას კვლავ ემუქრებიან ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ძალები, რომლებსაც ხელი არ აუღიათ თავიანთ გეგმებზე — ჩაახშონ კუბის რევოლუცია. ამ ვითარებაში კუბის რესპუბლიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა კვლავინდებურად ის არის, რომ გაზარდოს თავისი ქვეყნების თავდაცვისუნარიანობა, მზად იყოს საკადრისი პასუხი გასცეს ყოველ აგრესორს. კუბის რესპუბლიკის რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც დგანან კუბელი ხალხის სოციალისტურ მონაპოვართა სადარაჯოზე, იცავენ მის მშვიდობიან შრომას, ახლა აქვთ უახლესი საბრძოლო ტექნიკა, რომელსაც წარმატებით ეუფლება კუბის არმიის პირადი შემადგენლობა.

კუბის მხარემ საუბრების დროს განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კუბის სოციალისტური ეკონომიკის განვითარებისა და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ძმურ დახმარებას, რასაც კუბის რესპუბლიკას უწევენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

რაც შეეხება ორივე ქვეყნის ეკონომიურ ურთიერთობას, ისინი შეთანხმდნენ გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმების დადებაზე. ეს შეთანხმება საიმედოდ იცავს კუბის ეკონომიკას მსოფლიო ბაზარზე შაქრის ფასების კონიუნქტურული რყევის არახელსაყრელი შედეგებისაგან, ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიათა ეკონომიური დევნისებისაგან, აფართოებს კუბის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი დაგეგმვის, კუბელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

საბჭოთა კავშირისა და კუბის მხარეები მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ კუბელი ხალხის რევოლუციური ენთუზიაზმი და შრომითი აღმავლობა, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის წარმართველი და მაორგანიზებელი სამეცნიერო. კუბის ულღვეველ ერთიანობა დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან უზრუნველყოფს ყველა საჭირო პირობას იმისათვის, რომ კუბაში აშენდეს სოციალისტური საზოგადოება.

საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე აზრთა ურთიერთგაზიარებისას ორივე მხარემ დაადასტურა სრული დამთხვევა თავიანთი შეხედულებებისა, რომლებიც გამოხატულია საბჭოთა კავშირ-კუბის 1963 წლის 23 მაისის ერთობლივ განცხადებაში. საბჭოთა კავშირი და კუბის რესპუბლიკა თავიანთ საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ემყარებიან სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს, რომელიც ერთადერთი გონივრული, რეალისტური პოლიტიკაა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებას. ორივე მხარე მოითხოვს საყოველთაო და სრულ განიარაღებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებას, გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემის უსწრაფესად გადაჭრას და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციას, სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას.

საბჭოთა კავშირისა და კუბის მხარეებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სოციალისტური და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს თანამშრომლობის ფართო ფრონტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ეროვნულ და მტკიცე ღონისძიებათა შედეგად, მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის სულ უფრო აქტიურად განხორციელების შედეგად ამ ბოლო დროს რამდენადმე შენელდა საერთაშორისო დაძაბულობა.

კუბის რესპუბლიკის მთავრობას მშვიდობისა და განიარაღების საკარგებლოდ წინადადებულ ნაბიჯად მიაჩნია წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მოიპოვა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის ბრძოლაში, და შეთანხმება ატომური იარაღით აღჭურვილი ობიექტების ორბიტაზე გაყვანის აკრძალვის შესახებ.

საბჭოთა კავშირსა და კუბის რესპუბლიკას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველი ღონე იხმაროს, რათა ხელი შეუწყონ მშვიდობის კიდევ უფრო განმტკიცებას. ამასთან დაკავშირებით ამხანაგმა ფიდელ კასტრომ განაცხადა, რომ კუბის რევოლუციური მთავრობა მხარს უჭერს ახალ საბჭოთა წინადადებას — დაიდოს საერთაშორისო ხელშეკრულება (ან შეთანხმება) იმის შესახებ, რომ ხახელმწიფოებმა არ გამოიყენონ ძალა ტერიტორიული დავისა და საზღვრების საკითხთა გადასაჭრელად.

ორივე მხარე აღნიშნავს, რომ გარკვეული წარმატებანი აქვს მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ აგრესიული იმპერიალისტური წრეები ცდილობენ ყოველი საშუალებით გაუწიონ წინააღმდეგობა ამ პროცესს, კვლავ ისე წარმართონ მსოფლიო მოვლენების განვითარება, რომ გაამწვავონ ვითარება, გამოიწვიონ ახალი საერთაშორისო კონფლიქტები, აშწვავებენ ვითარებას მსოფლიოს ხან ერთ. ხან მეორე რაიონში. ერთ-ერთი ასეთი რაიონი კვლავ კარიბის ზღვის რაიონია. ამერიკის შეერთებული შტატების ომისმოტრფიალე მილიტარისტული წრეები კვლავ ჯიუტად ახორციელებენ აგრესიულ პოლიტიკას კუბის მიმართ, ცდილობენ მოახდინონ მასზე ეკონომიური ზემოქმედება, ჩაერიონონ კუბის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, შეაკოწიწონ ამერიკის კონტინენტის რეაქციის ძალთა ერთიანი ფრონტი კუბის წინააღმდეგ.

ამხანაგმა ფიდელ კასტრომ საუბრების დროს კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუბის რესპუბლიკის პოლიტიკა იყო და არის მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა კარიბის ზღვის რაიონში. რევოლუციური კუბა არავის არ ეშუქრება. მთელ თავის პოლიტიკაში იგი ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ არ ჩაერიოს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, მტკიცედ და თანმიმდევრულად დაიცვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები. კუბის მთავრობა მზად არის ყოველი ღონე იხმაროს, რათა კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს კუბის რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. მაგრამ კუბის მთავრობა არავის არ მისცემს უფლებას ჩაერიოს მისი ქვეყნის საშინაო საქმეებში. კუბელი ხალხის მიერ არჩეული გზა თავისი სახელმწიფოს განვითარებისა — სოციალიზმის გზა მხოლოდ და მხოლოდ თვით კუბელი ხალხის საქმეა.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მხარე სავსებით უჭერს მხარს კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის ამ კურსს, რომელიც შეესაბამება მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებს. მან დაადასტურა, რომ საბჭოთა მთავრობა სავსებით უჭერს მხარს ცნობილ ხუთ პუნქტს, რომლებიც კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ამხანაგმა ფიდელ კასტრომ წამოაყენა, როგორც იმის საფუძველს, რომ მოწესრიგდეს ვითარება კარიბის ზღვის რაიონში.

იმის გათვალისწინებით, რომ გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მილიტარისტული წრეების პროვოკაციები კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ იმ შემთხვევაში, თუ, წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა, რომ კუბაში არ შეიჭრებიან, თავს დაესხმიან მას, საბჭოთა კავშირი შეასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის საჭირო დახმარებას გაუწევს მოძმე კუბის რესპუბლიკას მთელი თავისი საშუალებებით.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ იმპერიალისტური ძალების აგრესიული მოქმედების შედეგად კვლავ არის დაძაბულობა მსოფლიოს ზოგიერთ სხვა რაიონში. იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობენ იარაღის ძალით, ამასთან პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის საშუალებითაც, შეაჩერონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება, ხელი შეუშალონ ხალხებს აშენონ თავიანთი ცხოვრება საკუთარი მისწრაფებებისა და სურვილების შესაბამისად. ამას ცხადყოფს პანამის, კვიპროსის, სამხრეთ კორეისა და ალჟირის, აზიისა და ლათინური ამერიკის მთელი რიგი სხვა რაიონების ამბები. სამხრეთ ვიეტნამში ამერიკელი იმპერიალისტები, ადგილობრივ რეაქციაზე დაყრდნობით, წინააღმდეგ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებისა, აწარმოებენ საომარ მოქმედებას ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. იმპერიალისტები აწყობენ ხრიკებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხების წინააღმდეგ, კერძოდ, იყენებენ კოლონიზატორული პოლიტიკის ისეთ ფორმას, როგორიც არის მალაიზიის შექმნა. საერთაშორისო დაძაბულობის ერთ-ერთი წყაროა ის, რომ ამერიკის ჯარები გაგარობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილის— კუნძულ ტაივანის ოკუპაციას.

ორივე მხარემ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უსწრაფესად გადაიჭრას საკითხი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

საბჭოთა კავშირისა და კუბის მხარეები აცხადებენ, რომ სრული სოლიდარობითა და მხარდაჭერით ეკიდებიან კოლონიათა ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ეს ხალხები დაამარცხებენ იმპერიალიზმის ძალებს. საბჭოთა კავშირი და კუბის რესპუბლიკა მხარს უჭერენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ყველა ფორმისა და გამოვლინების საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

ორივე მთავრობა გმობს იმას, რომ ამერიკის ჯარებმა, რომლებიც პანამის არხის ზონის ოკუპაციას ეწევიან, დაღვარეს პანამელი ხალხის სისხლი და ფეხქვეშ გათელეს ამ ქვეყნის სუვერენიტეტი. ორივე მთავრობა მხარს უჭერს პანამელი ხალხის სამართლიან მოთხოვნას, რომ თავისი სუვერენიტეტი დაამყაროს აღნიშნულ ზონაში, მხარს უჭერს მის უფლებას, რომ გადაისინჯოს, ან მოთხოვნას, რომ გაუქმდეს არათანასწორუფლებიანი შეთანხმებანი, რომლებიც ამერიკის იმპერიალიზმმა მოახვია თავს ამ ქვეყანას და რომელთა გამო წაართვა მას იურისდიქცია პანამის ტერიტორიის ნაწილისადმი.

ორივე მხარე აღნიშნავს როგორც თანამედროვე განვითარების დიდმნიშვნელოვან ფაქტს, რომ სულ უფრო მეტი ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებმაც მოიშორეს იმპერიალიზმის ბორკილი, ადგება სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის არაკაპიტალისტურ გზას, რომელიც ხალხებისათვის უზრუნველყოფს ნამდვილ დამოუკიდებლობას, პროგრესსა და დემოკრატიას. საბჭოთა კავშირისა და კუბის ხალხები მიესალმებიან იმპერიალისტური უღლისაგან ამას წინათ განთავისუფლებულ გმირ ალჟირელ ხალხსა და მის ხელმძღვანელებს, რომლებსაც თავიანთი ქვეყანა სოციალიზმის გზით მიჰყავთ.

საბჭოთა კავშირისა და კუბის მხარეები დარწმუნებული არიან, რომ სოციალისტური სისტემის ქვეყნების დიადი მიღწევანი, კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტური და მუშათა მოძრაობის სულ უფრო ფართო გაკანება, აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა ძლიერება უზრუნველყოფს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების საბოლოო გამარჯვებას.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე. სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ფიდელ კასტრომ-ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რომლებიც სოციალისტური რევოლუციის ერთიანმა პარტიამ მოიპოვა თავისი რიგების ზრდისა და განმტკიცების საქმეში, მისი ხელმძღვანელი როლის ამაღლებაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობასა და გმირი კუბელი ხალხის რევოლუციურ მონაპოვართა დაცვაში.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელით მიესალმა სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ამ წარმატებებს. მან ილაპარაკა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის წარმატებებზე სსრ კავშირში, შეიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაზე, იმ გამოცდილებაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ შეიძინა სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და განსაკუთრებით ქიმიური მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის ორგანიზაციის საქმეში, აგრეთვე იმ მუშაობაზე, რომელსაც პარტია ახორციელებს მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის.

ამხანაგებმა ფიდელ კასტრომ და ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-კუბის 1963 წლის 23 მაისის ერთობლივ განცხადებაში გამოხატული ერთიანობა შეხედულებებისა მსოფლიო რევოლუციური პროცესისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე, რასაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის, მოსკოვის თათბირების დეკლარაციისა და განცხადების პრინციპები, კიდევ უფრო განმტკიცდა და ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ძმური ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობა კვლავ ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1957 წლისა და 1960 წლის საერთაშორისო თათბირების გადაწყვეტილებებისადმი. საერთაშორისო მოვლენებისა და სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების საშინაო მდგომარეობის განვითარება მოწმობს დეკლარაციისა და განცხადების ანალიზისა და დასკვნების სისწორეს.

თანამედროვე ეპოქის — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქის შეფასება, თანამედროვეობის ძირითადი წინააღმდეგობის, როგორც კაპიტალიზმის ძალებსა და სოციალიზმის ძალებს შორის წინააღმდეგობის დახასიათება, იმის აღიარება, რომ საჭიროა მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირება იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის—სოციალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზის დამკვიდრება, ის დასკვნა, რომ რევოლუციურ ძალებს შეუძლიათ გამოიყენონ როგორც მშვიდობიანი, ისე არამშვიდობიანი გზები კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში, ფრაქციული და სექტანტური საქმიანობის დაგმობა მთელ რიგ კომუნისტურ და მუშათა პარტიებსა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ბრძოლის ყოველი ღონისძიებით მხარდაჭერა და 1957 წლის დეკლარაციისა და 1960 წლის განცხადების სხვა პრინციპული დებულებანი დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას და შეუქურასავით უნათებენ ბრძოლის გზას საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ყველა რაზეს, მოძრაობისა, რომელიც აწარმოებს დიად ბრძოლას მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობა ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თანამედროვე პირობებში უფრო, ვიდრე ოდესმე, სჭიროა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების შეკავშირება და ერთიანობა იმ გენერალური ხაზის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრულია კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირების დეკლარაციითა და განცხადებით.

ამხანაგმა ფიდელ კასტრომ მოიწონა ღონისძიებანი, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს ახლანდელ უთანხმოებათა ლიკვიდაციისათვის და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტია მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის ძმური სოლიდარობისა და თანასწორუფლებიანობის ურყევ პრინციპებზე დაყრდნობით კვლავაც თანმიმდევრულად იბრძოლებენ სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის შეკავშირებისათვის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის დელეგაციებისა და პარტიულ მუშაკთა ჯგუფების გაცვლამ, აგრეთვე ფართო ურთიერთინფორმაციამ, რაც 1963 წლის მაისის შემდეგ მოხდა, დიდად შეუწყო ხელი ორივე პარტიისა და ქვეყნის ძმური მეგობრობისა და ამხანაგობის განმტკიცებას. გამოითქვა ურთიერთსურვილები, რომ გაიფართოონ ყოველმხრივი ურთიერთობა და კონტაქტები საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სოციალისტური რევოლუციის ერთიან პარტიას შორის.

კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივნის, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ამხანაგ ფიდელ კასტრო რუსის ვიზიტი საბჭოთა კავშირში და აზრთა ამხანაგური ურთიერთგაზიარება, რაც ამ ვიზიტის დროს მოხდა, ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილია საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობის განმტკიცების საქმეში. ორივე მხარეს სახარგებლოდ მიაჩნია კვლავაც განახორციელონ ორი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეთა პერიოდული შეხვედრები და პირადი კონტაქტები.

გრძელვადიანი შეთანხმება

კუბის რესპუბლიკიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისათვის შაქრის მიწოდების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და კუბის რესპუბლიკის რევოლუციურმა მთავრობამ

გულწრფელი და გულითადი მეგობრობის სულისკვეთებით განიხილეს საკითხი კუბის შაქრის საბჭოთა კავშირისათვის მიწოდების შესახებ,

გაითვალისწინეს, რომ შაქრის წარმოება კუბის რესპუბლიკის ეკონომიკის ძირითადი დარგია და კუბის რესპუბლიკის სოციალისტური ეკონომიკის გეგმიანი განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით,

და თუმცა საბჭოთა კავშირს შეუძლია საკმაო რაოდენობით აწარმოოს შაქარი თავისი მოსახლეობის მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად და საექსპორტოდ, მაგრამ

მხედველობაში მიიღეს საბჭოთა კავშირსა და კუბის რესპუბლიკას შორის არსებული ძმური მეგობრობის ურთიერთობა,

ხელმძღვანელეს შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების პრინციპით და გაითვალისწინეს უპირატესობანი, რომლებიც შეიძლება უზრუნველყოს ამ პრინციპის გამოყენებამ ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის, და შეთანხმდნენ შემდეგზე:

საბჭოთა კავშირი კუბის რესპუბლიკაში შეისყიდის შაქრის ნედლეულს 1965-1970 წლების განმავლობაში შემდეგი რაოდენობით ყოველწლიურად:

1965 წელს — 2,1 მილიონ ტონას
1966 წელს — 3,0 მილიონ ტონას
1967 წელს — 4,0 მილიონ ტონას
1968 წელს — 5,0 მილიონ ტონას
1969 წელს — 5,0 მილიონ ტონას
1970 წელს — 5,0 მილიონ ტონას

შაქრის ფასის გადახდა იწარმოებს სსრ კავშირსა და კუბის რესპუბლიკას შორის მოქმედ სავაჭრო შეთანხმებათა პირობებით — კუბის რესპუბლიკისათვის საჭირო საბჭოთა საქონლის მიწოდების გზით.

იმ მიზნით, რომ აღიკვეთოს მსოფლიო ბაზრის ფასების კონიუნქტურული რყევის გავლენა კუბის რესპუბლიკის ეკონომიკაზე და მტკიცე საფუძველი შეიქმნას კუბის რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების დასაგეგმავად ხანგრძლივი პერიოდისათვის, ორივე მხარე შეთანხმდა დაიწყოს 1965-1970 წლებისათვის კუბის რესპუბლიკიდან სსრ კავშირში მისაწოდებელი შაქრის ნედლეულის მუდმივი ფასი 6 ამერიკული ცენტი ინგლისურ გირვანქაში ფასი* კუბის ნავსადგურები.

ხელმოწერილია მოსკოვში 1964

დარბაზობა კრემლში ფიდელ კასტროს პატივსაცემად

21 იანვარს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართეს კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივნის, კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტრო რუსის პატივსაცემად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი გამოვიდნენ გიორგის დარბაზიდან და გაემართნენ კრემლის დიდი სასახლის სადარბაზო კიბისაკენ, რათა შეხვედროდნენ კუბელი ხალხის ბელადს ფიდელ კასტროსა და მის თანამგზავრებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი გულთბილად მიესალმნენ თავისუფლების გმირი კუნძულის წარმომადგენლებს. გაიმართა გაცხოველებული, გულთადი საუბარი.

ფიდელ კასტროს აღვია კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მაიორის სამხრეულებიანი საპარადო კიტელი. კიტელის მარცხენა მხარეზე ელვარებს საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ძვირფასი სტუმარი და მისი თანმხლები პირნი მიიწვია გიორგის დარბაზში, სადაც დარბაზობის მონაწილენი შეიკრიბნენ.

გაისმის მქუხარე ტაში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა კავშირისა და ჯარების გვარეობათა მარშლები, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები მიესალმებიან თავისუფლებისმოყვარე კუბის მთავრობის მეთაურს.

ფიდელ კასტროს, სხვა კუბელ მეგობრებს გულთბადად მიესალმნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიანკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი.

ფიდელ კასტრო და ნ. ს. ხრუშჩოვი მიესალმნენ ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს დოლორეს იბარურის, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ჰენრი უინსტონს და სხვა საზღვარგარეთელ სტუმრებს.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ფიდელ კასტრო მიიყვანა საბჭოთა კოსმონავტების ჯგუფთან. ი. ა. გაგარინი, გ. ს. ტიტოვი, ა. გ. ნიკოლაევი, პ. რ. პოპოვიჩი და ვ. თ. ბიკოვსკი, რომლებიც წინადღეს შეხვედრნენ ფიდელ კასტროს მია რეზიდენციაში, გულთბილად მიესალმნენ კუბელი ხალხის გმირს.

უზარმაზარ დარბაზში ყღერს კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ფიდელ კასტრო, ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა ხელმძღვანელები და გმირი კუბის წარმომადგენლები მაიორები პედრო მირტი, ალდო სანტამარია, რენე ვალიეხო, კაპიტანი ბიენვენიდო პერესი, ავრეთვე კუბის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში მანუელ გარსია ფუენტესი და საბჭოთა კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევი გაკაშკაშებულ გიორგის დარბაზში მიდიან.

მიკროფონთან მიდის ნ. ს. ხრუშჩოვი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ფიდელ კასტრო რუს!

ძვირფასო კუბელო მეგობრებო!

ქალბატონებო და ბატონებო!

ამხანაგებო!

ჩვენ დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ ამხანაგი ფიდელ კასტრო კვლავ ჩამოვიდა ჩვენში, საბჭოთა კავშირში. მიუხედავად მოუცლელობისა შინ, განსაკუთრებით ახლა, სწორედ შაქრის ლერწმის აღების პერიოდში, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს კუბის ეკონომიკისათვის, იგი მაინც ჩამოვიდა. ამხანაგი ფიდელ კასტრო გამოეხმაურა ჩვენს მოწვევას და იმ დაპირების შესასრულებლად, რომელიც მან მაისში ჩვენში ყოფნის დროს მოგვცა, ზამთარში ჩამოვიდა მოსკოვში, რათა ეგრძნო ჩვენი ქვეყნის ბუნება, ჩვენი ჰავა, ჩვენი ზამთარი, ჩვენი თოვლი, ჩვენი ყინვა.

რა თქმა უნდა, როცა პოლიტიკური მოღვაწენი ერთმანეთს ხვდებიან, ისინი საუბრობენ ყინვებზეც, შაქრის ლერწმის აღებაზეც, ქიმიაზეც, მაგრამ, ბუნებრივია, ისინი საუბრობენ სხვა რამეზეც, ასე ვთქვათ პოლიტიკურ ქიმიაზე. ეს გარდუვალია, ამას ვერსად ვერ გაიქცევი.

ახლა, ამხანაგო ფიდელ, მთავრდება თქვენი მოსკოვში ყოფნის ოფიციალური ნაწილი, რომელიც ოქმით არის გათვალისწინებული და თქვენ, როგორც იტყვიან, იწყებთ თავისუფალ ცხოვრებას, შეგიძლიათ გაემგზავროთ იქ, სადაც გსურთ, გაატაროთ ჩვენში იმდენი დღე, რამდენიც გნებავთ. რაც უფრო მეტ ხანს დაჰყოფთ ჩვენში, მით უფრო ბევრს ნახავთ, რაც უფრო მეტს იმოგზაურებთ ჩვენს ქვეყანაში, მით უფრო მეტ სიხარულს მოგანიჭებთ.

თქვენი სახით, ძვირფასო ამხანაგო ფიდელ, ჩვენ მივესალმებით სახელოვან კუბელ ხალხს, რომელმაც რთულ პირობებში მოახდინა ძლევამოსილი რევოლუცია და გვიჩვენებს სიმტკიცის, გმირობის შესანიშნავ ნიმუშებს, თავისი დამოუკიდებლობის დაცვაში იმპერიალისტურ პროვოკაციათა წინააღმდეგ.

კუბის ყველა მეგობარი აღტაცებულია თქვენი ხალხის წარმატებით კუბის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური გარდაქმნის საქმეში, რაც მოპოვებულია რევოლუციური მთავრობის ხელმძღვანელობით, რომელსაც კუბელი ხალხის ბელადი, ჩვენი ძვირფასი მეგობარი და ამხანაგი ფიდელ კასტრო მეთაურობს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კუბელი ამხანაგები მართალი არიან, როცა თავიანთი სახელმწიფოს განმტკიცების ამ ეტაპზე ხალხის მთელი ყურადღება მიაპყრეს სამეურნეო მშენებლობის ამოცანებს და შემთხვევითი არ არის, რომ კუბელმა ხალხმა ამას იმით უპასუხა, რომ ახლანდელი, 1964 წელი გამოაცხადა „ეკონომიკის წლად“.

ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ცოტა სიძნელენი და გადაუჭრელი პრობლემები როდი გაქვთ. ისინი გარდუვალია, როცა წარმოებს ისეთი განსაკუთრებით რთული საქმე, როგორიც არის სახელმწიფოს ეკონომიკის გარდაქმნა, მისი კაპიტალისტური რელსებიდან სოციალისტურ რელსებზე გადაყვანა. ეს სიძნელენი გართულდა არა მარტო იმიტომ, რომ მონოპოლისტები თავიანთი მრავალი წლის ბატონობის დროს კუბის ეკონომიკას მთელ სისხლს სწოვდნენ, არამედ გართულდა ეკონომიური ბლოკადის შედეგად, რომელიც ამერიკელმა იმპერიალისტებმა მოაწყეს.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ კუბელი ხალხი, რომელიც იჩენს შრომითს ენთუზიაზმსა და მაღალ ორგანიზებულობას, გადალახავს ყველა სიძნელეს თავის გზაზე და წარმატებით შეასრულებს სოციალისტური მშენებლობის დასახულ გეგმებს. საბჭოთა ადამიანები კუბელ ძმებს უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს სახალხო მეურნეობის აღმავლობაში, სოციალიზმის მშენებლობაში!

იმპერიალისტები ვერა და ვერ ურიგდებიან კუბის რევოლუციის წარმატებებს, იმას, რომ სოციალიზმი დასავლეთის ნახევარსფეროშიც მიდიდა. მაგრამ ეს არის საზოგადოების განვითარების გარდუვალი ისტორიული პროცესი და არავითარ ბარიერს არ ძალუძს შეაჩეროს იგი. ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტებს კვლავინდებურად სურთ იყოლიონ ლათინური ამერიკა მეწველ ფურად. მათ არა სურთ ანგარიში გაუწიონ ხალხების ნებას, რომლებიც აღდგნენ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ყველაზე თავგასული რეაქციონერები აშკარად მოუწოდებენ აგრესიისათვის რევოლუციური კუბის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს „ემუქრება“ შეერთებული შტატების ინტერესებს.

ეს საშიში პოლიტიკაა, რომელმაც შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს. ისინი, ვინც ცდილობს სადავო გახადოს რევოლუციური კუბის არსებობის უფლება, ფეხქვეშ თელავენ საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს. ეს სხვა არა არის რა, თუ არა საერთაშორისო იმპერიალისტური აჩაღობის აშკარა ქადაგება. იმპერიალისტთა ასეთი პოლიტიკა განწირულია ჩავსაფუშავად. რევოლუციური კუბა მარტო არ არის, მის მხარეზეა მთელი პროგრესული კაცობრიობა.

საბჭოთა კავშირი მუდამ იყო და იქნება რევოლუციურ კუბასთან ერთად. ჩვენ მას ვუწევდით და კვლავაც გავუწევთ ყოვლმხრივ დახმარებასა და მხარდაჭერას სოციალიზმის მშენებლობაში, მის სოციალისტურ მონაპოვართა დაცვაში. ჩვენი მხრივ ჩვენც დიდად ვაფასებთ მხარდაჭერას, რომელსაც კუბელი ხალხი და მისი მთავრობა უწევს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკას.

ამხანაგ ფიდელ კასტროს ახლანდელი ვიზიტის დროს ჩვენ ბევრი სასარგებლო საუბარი გვქონდა. განვიხილეთ ჩვენი ქვეყნების შემდგომი პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ჩვენი საუბრების შედეგები ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივ კომუნიკეში, რომელიც გამოქვეყნდება.

საბჭოთა მთავრობამ და კუბის რესპუბლიკის მთავრობამ მოილაპარაკეს, რომ დადონ გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება. ეს შეთანხმება საიმედოდ უზრუნველყოფს კუბის ეკონომიკას, რომ მასზე არახელსაყრელი გავლენა არ იქონიოს მსოფლიო ბაზარზე შაქრის ფასების კონიუნქტურულმა მერყეობამ, იცავს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიების ეკონომიური დიქტატურისაგან, აფართოებს შესაძლებლობებს კუბის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი დაგეგმვისათვის, კუბელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

თანამშრომლობა და ძმური ურთიერთდახმარება მოძმე სოციალისტური ქვეყნების წარმატებათა საწინდარია. არ არის ისეთი ძალა, რომელიც შეძლებდა უკან დაებრუნებინა გარდუვალი ისტორიული პროცესი — სოციალიზმისა და კომუნიზმის ძლევამოსილი წინსვლა.

ოდესაც არქიმედი ოცნებობდა ბერკეტზე, რომლის დახმარებით დედამიწას გადაატრიალებდა. მარქსმა, ლენინმა ხალხებს მისცეს ასეთი ბერკეტი. ჩვენ, მარქსისტ-ლენინელები, არ ვაპირებთ ბებრუხანა დედამიწის გადაბრუნებას, მისი მდგომარეობა სამყაროს სივრცეში ჩვენთვის საკმაოდ ხელსაყრელად მიგვაჩნია. მაგრამ მსოფლიოს, მის ისტორიას კომუნისტები, მშრომელი ადამიანები რევოლუციურ საწყისებზე გადააკეთებენ. ჩვენ გვაქვს მძლავრი იარაღი — ეს არის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. ეს მოძღვრება იმარჯვებს, ხორციელდება. და არ არის კომუნისტისათვის უფრო დიდი სიხარული, უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ ხედავდეს, როგორ იმარჯვებს ეს რევოლუციური მოძღვრება.

საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ სწამთ, რომ თავისუფლებისმოყვარე კუბელი ხალხი სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ხელმძღვანელობით, კუბის რევოლუციის სახელოვანი ბელადის, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის ამხანაგ ფიდელ კასტროს წინამძღოლობით თავის ქვეყანას სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე მიიყვანს.

ნება მიბოძეთ წარმოვთქვა ჩვენი ქვეყნების მოძმე ხალხთა ურღვევი მეგობრობის, კუბის სოციალისტური რესპუბლიკის აყვავების, გმირი კუბელი ხალხის სადღეგრძელო.

სოციალიზმის მშენებელი ქვეყნების განმტკიცების, რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური პარტიების შეკავშირების სადღეგრძელო!

ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის მებრძოლი ძალების განმტკიცების სადღეგრძელო!

კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივნის, კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ამხანაგ ფიდელ კასტროს სადღეგრძელო!

ყველა ჩვენი კუბელი მეგობრის სადღეგრძელო!

ვივა კუბა!

შემდეგ სიტყვას ამბობს ფიდელ კასტრო.

ამხანაგ ფიდელ კასტროს სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ნიკიტა ხრუშჩოვ!

ძვირფასო ამხანაგებო, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებო!

ბატონებო, დიპლომატიური კორპუსის წევრებო!

ქალბატონებო და ბატონებო!

მინდა მადლობა გადავუხადო ამხანაგ ხრუშჩოვს მისი სიტყვებისათვის. მინდა ავრეთვე მადლობა ვუძღვნა მას იმ განსაკუთრებული ყურადღებისათვის, რომლითაც ჩვენს დელეგაციას შეხვდნენ საბჭოთა კავშირში.

ჩვენი დელეგაცია მეტად კმაყოფილია მოლაპარაკებისა და საბჭოთა კავშირში ვიზიტის შედეგებით. ამ ვიზიტთან დაკავშირებით იმპერიალისტური პრესა განუწყვეტლივ ხლართავდა ჭორების ქსელს. სამწუხაროდ, იმპერიალისტური აგრესიის გამო, ჩვენ იძულებული გავხდით წამოვსულიყავით ჩვენი ქვეყნიდან ისე, რომ ეს არ გამოგვეცხადებინა. მაგრამ ამაში საკვირველი არაფერია.

ჩვენ მართლაც ვერთობოდით აქ ყოველდღიურად, როცა ვკითხულობდით დეპეშებს, რომლებშიც გამოთქმული იყო სხვადასხვა ჭორი ჩვენი ვიზიტის შესახებ. ყველა ამ „თეორიას“ თხზავდნენ იმ დროს, როცა ჩვენ ვხადირობდით, ვსეირნობდით ტყეში და ვსადილობდით ღია ჰაერზე.

ბევრი ადამიანი ვარჯიშობდა ყოველგვარი ამბების შეთხზვაში, ვარაუდობდა, რომ ჩვენ აქ რაღაცას ვაპირებთ. ეს ადამიანები მოქმედებენ ისე, თითქოს გაგიჟებულან ან გაგიჟდებიან. მათ ჩვენ წარმოვუდგენივართ სულაც არა ისეთებად, როგორიც ნამდვილად ვართ. შესაძლოა მათ წარმოდგენილი ვყავართ ისეთებად, როგორიც თვითონ არიან. ამას გარდა, ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ ეგოისტები ვართ, ფიქრობენ, რომ ჩვენ რაღაც ხრიკებს ვაწყობთ. ახლა გასაგებია, თუ რა თავისტკივილი აქვთ, უწინარეს ყოვლისა იმპერიალისტ იანკებს, თანამედროვე ფეოდალებს, ბანკირებს, ბანკების ბატონებს, ბანკების ბატონებს, ბანკების ბატონ

ამხანაგ ფიდელ კასტროს გამოსვლა მოსკოვის ტელევიზიით

(დასასრული)

ჩვენ ვაწარმოებთ რძესა და ხორცს ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი ბუნებრივი პირობებისა და ჰავის გამოყენებით. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ თქვენი ქვეყნისაგან, ცივი ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებიც წლის მნიშვნელოვან პერიოდში დაფარულია თოვლით, ჩვენში, სადაც მცენარეები იმწვანებენ მთელ წელიწადს, შეიძლება ოთვაყვანოთ ბალახი მთელი წლისათვის საპირო საკვების დასამზადებლად. ხოლო თუ მორწყვა ქნება, პამიდორი და ალფა, რომელიც ახლა ჰიდროპონური ეთოდით მოგვყავს, ისევე როგორც ბალახები, შეგვეძლება ღია ცის ქვეშ მოიყვანოთ.

მაგრამ წინათ ჩვენს ქვეყანაში არ იყვნენ ამ კლიმატურ პირობებს. კაპიტალიზმის დროს ექსტენსიური სოფლის მეურნეობა გვქონდა, პროდუქციის გასაღებლად არ იყო ბაზარი. იმპერიის იმპერიალისტები ახრჩობდნენ ჩვენს ეკონომიკას, ხოლო მემამულეებს მიწის უზარმაზარ ნაკვეთებზე პირუტყვის ჯოგების აშენება ერჩიათ. ხალხს კი არც ხორცი ჰქონდა, არც რძე. ახლა სხვა დროა. ახლა აუცილებელია ვაწარმოოთ საკმარისი რძე და ხორცი მთელი ჩვენი მოსახლეობისათვის, ყველა ჩვენი ადამიანისათვის. ამჟამად ჩვენ შეგვიძლია არა მარტო დავაკმაყოფილოთ ყველა ჩვენი მოსახლეობა, არამედ საექსპორტოდაც გამოვიყენოთ ეს პროდუქტები. მანქანები, რომელსაც ახლა შაქრის ლერწმის ასაჭრელად იყენებენ, მომავალში შეიძლება გამოვიყენოთ მეცხოველეობაში. შეიძლება ავრეთვე გამოვიყენოთ საბჭოთა სათიბელები, ტრაქტორები, რომლებიც საბჭოთა კავშირში უშვებენ.

რომ წარმოიდგინოთ, რა არის მექანიზაცია, რა არის საბჭოთა ტრაქტორი და ავტომობილი, რომელსაც ექვსი მეტრი გატარის განი აქვს, გეტყვით, რომ. მათ შეუძლიათ დღეში იმდენი ბალახი მოთიბონ, რამდენსაც ხელით მომუშავე 300 კაცი ითიბავს. მე ვიცი, რომ როდესაც ბალახს ნამგლით ან ცელით თიბავენ, არ შეიძლება აწარმოო ძალი მოსახლეობისთვის საკმარისი ხორცი და რძე. ამიტომ უნდა გამოვიყენოთ მანქანები, ტექნიკა. ეს, რომელიც ერთ ასეთ მანქანაზე მუშაობს, შეუძლია 300 მუშა შეცვალოს.

ასეთი შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა ერთსეპტემბერში აქვს ჩვენს ქვეყანას. ჩვენ ფუძეკობესები ჩვენს მეცხოველეობას. ამიერიდან კაცი ჯიშის სანაშენო მსხვილფეხა რქიან პირუტყვს და ვიყენებთ ხელოვნურ დათესვლას. ჩვენ გარდავქმნით ჩვენს მეცხოველეობას და ამ დარგში დიდი გეგმები გვაქვს, რომლებსაც განვახორციელებთ შაქრის წარმოების განვითარებასთან ერთად.

ნ. ნ. ჩიგირი: რამდენადაც კუბის ეკონომიკაზეა საუბარი, მინდა მოგაგონოთ, რომ გრიგალ „ფლორას“ დროს დასავლეთის პრესის ბევრი ორგანო წინასწარმეტყველებდა, კუბის ეკონომიკა მრავალი წლის მანძილზე ვერ შეძლებს გრიგალით მიყენებული ჭრილობების მოშუშებასო. მათ აშკარად ახარებდათ ასეთი პროგნოზები. რას გვეტყვით ამის შესახებ?

ფ. კასტრო: დიახ, მართლაც, რევოლუციის მტრები, რეაქციონერები შეერთებულ შტატებში, სიხარულს გამოთქვამდნენ იმ უბედურებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენს ხალხს თავს დაატყდა. ათასზე მეტი მუშა და გლეხი დაიღუპა, მათ გულს კი ეს არ გაკაკარებია. ეს ხომ არც მემამულეები იყვნენ, არც ბურჟუები, არამედ უბრალო მშრომელი ხალხი. მტრები ფიქრობდნენ, რომ ბუნება ეხმარებოდა მათ აღდგენასთ თავიანთი პრიეილეგიების, ეხმარებოდა მათი ბატონობის აღდგენას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. სიხარულით იუწყებოდნენ ისინი, რომ კუბის ეკონომიკა დაინგრა, რომ ჩვენ ვერ შეეძლებთ მის აღდგენას. ისინი ძალაყოფილი იყვნენ. ამ შემთხვევაში საკირო არ იყო მათი დარწმუნება, რომ ისინი ცდებიან. თუ კი იმპერიალისტები ფიქრობენ, რომ ბუნებამ ყველაფერი გააკეთა, ყველაზე უკეთესი იყო მათთვის გვეთქვა: თავი დაგვანებეთ, ხელს ნუ გვიშლით. ნუ ეწევით ძირგამოთხრილ საქმიანობას, ნუ აწყობთ პროვოკაციებს კუბის წინააღმდეგ.

მაგრამ, გამოდის, რომ ყველას როდი სჯერა მათი. არიან კაპიტალისტები, რომლებიც არ უჯერებენ ამერიკის იმპერიალისტების მიერ გავრცელებულ ცნობებს. ამის შესახებ საუკეთესოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყანა ჩვენთან ვაჭრობას აწარმოებს. მაგალითად, ინგლისმა ამ ცოტა ხნის წინათ მოგვყიდა ავტობუსების პარტია და მოგვცა შეღავათი იმ მხრივ, რომ კუბას შეუძლია მათი ღირებულება ხუთ წელიწადში გადაიხადოს. ამან ძალიან განარისხა ამერიკელი იმპერიალისტები.

ამავე დროს ეს მოწმობს, რომ მათი უკეკ ალარ სჯერათ და, მიუხედავად მთელი მათი სიცრუისა, სჯერათ ჩვენი ქვეყნისა, სჯერათ კუბის ეკონომიკისა, სჯერათ კუბის რევოლუციისა, კუბის რევოლუციის საქმის გახმაკიცებისა. ცხადია, რომ ეს არ არის მარტო კუბისადმი რწმენა, რადგან იციან, რომ კუბა არის ქვეყანა, რომელთანაც სოლიდარულია საბჭოთა კავშირი და მთელი სოციალისტური ბანაკი. ყველამ იცის, რომ ჩვენი ქვეყანა ბედის ანაბარად არ მიგდეს, მარტო არ დასტოვეს ძნელ პირობებში. ამ ხუთ წელიწადში მარტო ჩვენ კი არა, ისინიც მიხვდნენ ამას. მათ აღარ სჯერათ, რომ რევოლუცია დამარცხდება. მათ შეიგნეს, რომ ახლა სხვა მდგომარეობაა.

რას მიაღწიეს იმპერიალისტებმა, როცა აცხადებდნენ, რომ ჩვენ ნანგრევებად ვიქეცით! მათ, უნდოდათ ეთქვათ, რომ მთელი ჩვენი შაქრის ლერწმი მოისპო, რომ შაქარი აღარ იქნება და ამის შედეგად საერთაშორისო ბაზარზე ფასები გაიზრდება. მაგრამ იმპერიალისტების სიცრუე მათივე წინააღმდეგ შებრუნდა.

იყო შაქრის ნაკლებობა, იყო შაქრის დიდი მოთხოვნილება ბაზარზე. ხოლო გრიგალის გამანადგურებელი შედეგების შესახებ ცრუ ცნობებმა ხელი შეუწყო იმას, რომ შაქრის ფასი კიდევ უფრო გაიზარდა. და ამის შედეგად ჩვენ შეეძელით კარგ ფასად გაგვეყიდა შაქარი. ზოგი ჭირი მრგებელიაო.

ლ. მ. ზამიატინი: ამხანაგო ფიდელ, თქვენ ძალიან საინტერესოდ გვიამბეთ კუბის საშინაო მდგომარეობის შესახებ. საწინააღმდეგო თუ არაფერი გაქვთ, ჩემი შეკითხვა საერთაშორისო მდგომარეობას შეეხება. ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს ყველაფერს, რასაც რევოლუციური კუბის მთავრობა და პირადად თქვენ აკეთებთ მშვიდობის განმტკიცებისა და კარიბის ზღვის რაიონში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის, ამ რაიონის მშვიდობის ზონად გადაქცევისათვის. ხომ არ გვეტყვით, როგორია ამჟამად კარიბის ზღვის რაიონში მშვიდობის შემდგომი განმტკიცებისა და კუბის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების პერსპექტივები.

ფ. კასტრო: ჩვენ ნამდვილად არა ვართ დაძნშავე, რომ კარიბის აუზის რაიონში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. ჩვენ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის საზღვრებში, ჩვენს საკუთარ ქვეყანაში, ისე, რომ არავინ არაფერს არ ეუბნებიდნენ, ზარალს არ ვაყენებდით არცერთ სხვა ხალხს, ვცდილობდით შეგვექმნა ჩვენი ეკონომიკა, გაგვეუმჯობესებინა ხალხის ცხოვრება. ეს დანაშაული როდია. ეს დანაშაული მხოლოდ იმპერიალისტთა თვალსაზრისით, რომლებიც ეჭესლობაციას უწევდნენ ჩვენს ეკონომიკას, ჩვენს მშრომელებს. რევოლუციის შემდეგ მათ დაიკავეს აგრესიის, ისეთი პოლიტიკის პოზიცია, რომლის მიზანია რევოლუციის ჩახშობა. და ისინი ცდილობდნენ ამის გაკეთებას. ამის გაკეთებას ისინი მთელი ამ წლების მანძილზე ცდილობდნენ. და არ ითვალისწინებდნენ, რომ ჩვენ სულ სხვა ვითარებაში ვცხოვრობთ. როცა ძალების განლაგება სხვანაირი იყო, ახლანდელისაგან განსხვავებული იყო, როცა იმპერიალისტები ყოველისმეტად იყვნენ, მათ შეეძლოთ ფეხქვეშ გაეთელათ ჩვენი რევოლუცია. შეეძლოთ დავეტოვებინეთ უბაზრებოდ, უნავთობოდ, არ მოეცათ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო საქონელი. და კუბას, რომელიც პატარა ქვეყანაა, ძალიან გაუჭირდებოდა წინაღდგომოდა ამ პოლიტიკას, შეტევებს, ამ ზომებს ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ მსოფლიოში ახალი ვითარება შეიქმნა, მოხდა უდიდესი ცვლილებები. იმპერიალისტები კი კვლავ ისე ფიქრობდნენ, როგორც ფიქრობდნენ 1917 წელს, ან ისე, როგორც 1930 წელს ან 1940 წელს. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ისინი წარსული წლების კატეგორიებით აზროვნებდნენ. ძალიან გვითხრეს ნავთობზე და ზემოქმედება მოახდინეს ყველა კომპანიაზე, რომლებიც ეწეოდნენ ნავთობის გადაზიდვას, რათა უსათბობოდ დავეტოვებინეთ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს ზომები ეფექტიანი იქნება, რომ საბჭოთა კავშირი ვერ უზრუნველგყოფს ნავთობით. მაგრამ ისინი შეცდნენ. საბჭოთა კავშირმა შეძლო შეექმნა ნავთობი. ჩვენი უზრუნველყოფის სისტემა, რომელსაც არასოდეს არ უმტყუნია, რის მეოხებითაც ნავთობს შეეფერხებლად ვიღებდით. საბჭოთა კავშირმა განახორციელა ღონისძიებანი და შეძლო საკმაო რაოდენობით გამოეყო გემები ნავთობის გადასაზიდად.

იგივე მოხდა, როცა უარი გვითხრეს შაქრის ლერწმზე. საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა ეს-და კუბის შაქარი და, ამრიგად, ყველა ეკონომიური ღონისძიება, რომლებსაც ჩვენს წინააღმდეგ ახორციელებდნენ, შეტრიალდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ ღონისძიებების ინიციატორი იყო.

ეკონომიური სანქციების შემდეგ მათ დაიწყეს სამხედრო აგრესიულ ღონისძიებათა განხორციელება. ისინი თავს დაგვესხნენ და გამოიყენეს თვითმფრინავები, ტანკები, ზარბაზნები. ფიქრობდნენ, რომ ჩვენ უიარაღოდ ვართ და რომ მათ წინაშე ადვილი ამოცანა დგას. მაგრამ ჩვენ მივიღეთ ტანკები, ზარბაზნები და საბუნაო დანადგარები საბჭოთა კავშირიდან. კუბელებმა ისწავლეს ამ იარაღის ხმარება. და როცა მტრები თავს დაგვესხნენ, ისინი კვლავ შეცდნენ. ეს თავდასხმა გამანადგურებელი დამარცხებით დამთავრდა 72 საათზე ნაკლებ დროში. ამის შემდეგ ყველა ავანტიურისტული გეგმა მთავრდებოდა მათი დამარცხებით, და ამან აიძულა ჩვენი მტრები თანდათანობით უარი ეთქვათ კუბის წინააღმდეგ პირდაპირ აგრესიაზე. ისინი ფიქრობდნენ, რომ ჩვენ მარტონი ვიქნებიდნენ, და კვლავ შეცდნენ. როცა უკეკ ჰქონდათ ყუმბარებმა საკმაო მარაგი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიისათვის, ისევ წაიწყვდნენ საბჭოთა კავშირის მტკიცე პოზიციას, საბჭოთა კავშირის საბჭოდრო ძლიერებას, რომელთაც შეაჩერა იმპერიალისტთა აგრესია და აიძულა მიეღოთ კომპრომისული გადაწყვეტილება ჩვენს ქვეყანაზე თავდაუსხმელობის შესახებ.

მათ ოქტომბრის კრიზისის შემდეგ შესაძლებლობა ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ საბჭოთა კავშირის სოლიდარობა კუბისადმი არსებობს, მტკიცე და ურყეევი. ამან გამოიწვია ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდა ახალი მიმდინარეობა, გაჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც მშვენიერად შეიგნეს, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ამ ავანტიურისტულ გეგმებს, რომლებიც უგუნურია, და რომ შეუძლებელია მათი შესრულება ამჟამად, შეუძლებელია ასეთი პოლიტიკის განხორციელება.

ამავე დროს მოხდა საერთაშორისო დაძაბულობის, ცივი ომის შენელება. ყოველივე ეს იმ პოლიტიკის, იმ მეცადინეობის შედეგია, რასაც ახორციელებენ საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკი მშვიდობის საკეთილდღეოდ. ამან ხალხებს მშვიდობის რწმენა გაუღვიძა. საერთაშორისო მოძრაობა მშვიდობის დასაცავად მძლავრი ძალაა. იგი უკვე, რეალურად იკრძნობა, და იგი, ეს მოძრაობა, ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ იმპერიალისტებმა. ახლაც ცხადია, რომ მშვიდობის საკეთილდღეოდ, რომ მშვიდობის თანაარსებობა ყოველდღიურად უფრო მეტ მომხრეს იძენს მთელ მსოფლიოში, და ცივი ომის მომხრეები, სამხედრო კონფლიქტების მომხრეები სულ უფრო ნაკლებ მხარდაჭერას პოულობენ. ბუნებრივია, რომ ეს ვითარება, რომელიც ხელსაყრელია მთელი მსოფლიოსათვის, ხელსაყრელი იყო ჩვენთვისაც, გვაშორებდა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიის საფრთხეს. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ეს მდგომარეობა თანდათან გაეჯარებოდება და საფრთხე შემცირდება. ჩვენი მხრივ მზად ვართ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა შევანელოთ დაძაბულობა. და ჩვენ, როგორც პრინციპული პრობლემა, წამოვაყენეთ დებულება, რომ ამერიკის ყველა ქვეყანასთან ერთად ერთიანობის პოლიტიკის მომხრე ვართ, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც, თვითეული ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის სრული პატივისცემის ბაზაზე. ჩვენ შეგვიძლია მშვიდობიანად ვიცხოვროთ მსოფლიოს ყველა ხალხთან და გვსურს მშვიდობიანად ვიცხოვროთ დასავლეთი ნახევარსფეროს ყველა ხალხთან და ქვეყანასთან თვითეული ქვეყნის სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპის ბაზაზე. ჩვენ ვაცხადებდით, მტკიცედ მოვითხოვდით ამას. ეს ყოველთვის ჩვენი პოზიცია იქნება და არ შეიძლება მისი უგულებელყოფა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ რეალურად არ გვესაჭიროება ვაჭრობა შეერთებულ შტატებთან. ყველაზე მეტად დაინტერესებული ვართ მშვიდობით, იმით, რომ არა მარტო კარიბის აუზი არ იყოს საბიფათო მშვიდობისათვის, არამედ საზოგადოდ არ იყოს საშიშროების რამე კერა. მშვიდობა — ეს ის, რაც ყველაზე მეტად გვაინტერესებს. ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი ვაჭრობა ახლა ვეზს იღებს სხვა ქვეყნებზე. ჩვენ ძირითადად ვეაჭრობთ სოციალისტურ ბანაკთან, აგრეთვე იმ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, რომლებიც ყიდულობენ ჩვენგან. ესე იგი, სხვა სიტყვით, ჩვენი ეკონომიკა მოვაწყეთ ამ მდგომარეობის შესაბამისად და რეალურად არა ვართ დამოკიდებულნი შეერთებული შტატების ეკონომიკაზე. და კმაყოფილი ვართ ამით.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ, არ ვაყენებთ ეკონომიური ხასიათის პირობებს იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მშვიდობა, მხოლოდ ვიცავთ ჩვენი სუვერენიტეტის პატივისცემის უფლებას, უფლებას, რომელიც შეესაბამება ჩვენი ხალხის ინტერესებს. ეს არის ის ურყეევი პოზიცია, რომელსაც ახორციელებდა და ყოველთვის განახორციელებს მშვიდობის პოზიციებზე მდგომი რევოლუციური მთავრობა. ვფიქრობ აგრეთვე, რომ პირობები შეიცვლება, იმიტომ, რომ ლათინური ამერიკის ხალხები და ლათინური ამერიკის მთავრობები ანტიეროვნული პოლიტიკის მომხრე ვართ, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც, თვითეული ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის სრული პატივისცემის ბაზაზე. ჩვენ შეგვიძლია მშვიდობიანად ვიცხოვროთ მსოფლიოს ყველა ხალხთან და გვსურს მშვიდობიანად ვიცხოვროთ დასავლეთი ნახევარსფეროს ყველა ხალხთან და ქვეყანასთან თვითეული ქვეყნის სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპის ბაზაზე. ჩვენ ვაცხადებდით, მტკიცედ მოვითხოვდით ამას. ეს ყოველთვის ჩვენი პოზიცია იქნება და არ შეიძლება მისი უგულებელყოფა.

ჩვენ ნამდვილად ალერგიულ ვართ ომებისადმი. ეს ომები, ეს ომები ... ...

საერთაშორისო
დეკენელი, ცხოვანი ვიმოსილვა
ცხოვრება

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

როგორც ცნობილია, კამბოჯის მთავრობამ საბჭოთა კავშირისა და ინგლისის წარმომადგენლებს, რომლებიც თავმჯდომარეობდნენ ჟენევის 1954 წლის თათბირს ინდო-ჩინეთის საკითხზე, სთხოვა მოიწვიონ საერთაშორისო თათბირი იმ ღონისძიებათა შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად, რომლებიც უზრუნველყოფენ კამბოჯის ნეიტრალიტეტს. საბჭოთა კავშირის მთავრობამ აცნობა კამბოჯის მთავრობას, რომ მხარს უჭერს კამბოჯის თხოვნას.

მიმდინარე წლის 18 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიდი ბრიტანეთის ელჩს მოსკოვში ჰ. ტრეველიანს გადასცა პროექტი თანათავმჯდომარეების ერთობლივი წერილისა, რომელიც შეიცავს წინადადებას თათბირი კამბოჯის შესახებ მოიწვიონ 1964 წლის აპრილში ჟენევაში. წერილის პროექტში თანათავმჯდომარენი სთხოვენ დაინტერესებულ მთავრობებს, რაც შეიძლება მოკლე ვადაში აცნობონ, რომ თანახმა არიან მონაწილეობა მიიღონ გათვალისწინებულ თათბირში და გამოთქვან აზრი თათბირის მოწვევის დროისა და ადგილის შესახებ.

გათვალისწინებულია, რომ კამბოჯის სურვილის შესაბამისად წერილი გაეგზავნოს ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის 1954 წლის თათბირის და ლაოსის შესახებ ჟენევის 1961-1962 წლების თათბირის მონაწილე ქვეყნების მთავრობებს, სახელდობრ: ბირმის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ინდოეთის, კანადის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ლაოსის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ტაილანდის, საფრანგეთისა და სამხრეთ ვიეტნამის მთავრობებს.

დიდი ბრიტანეთის ელჩმა განაცხადა, რომ სასწრაფოდ აცნობებს თავის მთავრობას საბჭოთა წინადადებას.

ა. ნოვოტნის პასუხი ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე

პრაღა, 21 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. დავიდმა დღეს სსრ კავშირის ელჩს პრაღაში მ. ვ. ზიმიანინს გადასცა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. ნოვოტნის პასუხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებისადმი.

ჯონსონის გამოსვლა რადიოთი და ჭელევიზიით

ვაშინგტონი, 22 იანვარი. (საკდესი). გუშინ რადიოთი და ტელევიზიით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი და გააკეთა განცხადება, რომელშიც ამერიკელ ხალხს განუმარტა თავისი წერილი განარაღების 18 ქვეყნის კომიტეტისადმი. ამ კომიტეტმა მუშაობა დაიწყო ჟენევაში.

პრეზიდენტმა ჯონსონმა განაცხადა, რომ ამ კომიტეტის დღის წესრიგში არის მხოლოდ ერთი პუნქტი — ეს არის კაცობრობის დღის წესრიგის მთავარი პუნქტი — საკითხე მშვიდობის შესახებ.

ჯონსონმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ ბოლო დროს მიღწეულია მთელი რიგი შეთანხმებანი. მან აღნიშნა, კერძოდ, რომ დიდი ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ, პირდაპირი კავშირი დამყარდა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის, განათლება საფრანგეთში მიიღო.

1959 წლის სექტემბერში იგი ერთიერთი ფუძემდებელი იყო მოძრაობისა „დაგმოეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფრონტი“, რომელმაც მიზნად დაისახა დაგმოეს განთავისუფლება საფრანგეთის კოლონიალიზმისაგან. დაგმოეს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამბები მთავრობის შემადგენლობაში შევიდა როგორც ეკონომიკის, დაგეგმვისა და ფინანსთა მინისტრი. 1960 წლის დეკემბერში იგი აირჩიეს დაგომეს რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო შემდეგ კვლავ ეროვნული განვითარებისა და დაგეგმვის მინისტრად დანიშნეს.

1962 წლის მაისში სურუ-მიგან აპიტი საბჭოთა კავშირს ეწვია — იგი დაგომეის რესპუბლიკის კეთილ ნების მისიის მეთაური იყო.

1963 წლის ოქტომბერში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სურუ-მიგან აპიტიმ დაიკავა პოსტი სახელმწიფო მინისტრისა, რომელიც დაგომეის დროებით მთავრობაში განაგებდა ფინანსებს, დაგეგმვის, სოფლის მეურნეობისა და კოოპერაციის საკითხებს.

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოს ახალი დირექტორი

ვაშინგტონი, 22 იანვარი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა გამოაცხადა, რომ ედვარდ მეროუ გადადგა ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს დირექტორის პოსტიდან. მეროუ გადადგა იმასთან დაკავშირებით, რომ ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროება ფილტვების კიბოს გამო გაკეთებული ოპერაციის შემდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მეროუს შეცვლის კარლ როუენი. ეს პირველი ზანგია, რომელსაც ასეთი მაღალი პოსტი უკავია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაში.

„ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის გეგმები პრესის მრავალ გამოხმაურებას იწვევს. კოპენჰაგენის გაზეთ „პოლიტიკენში“ გამოქვეყნებულია გესლიანი კარიკატურა.

— რეხტ... ა დრუა... ტუ ზე რაიტ... ა. დესტრა, — სხვადასხვა ენაზე იძლევა განკარგულებას კაპიტანი, რომელსაც სურს, რომ ხელქვეითნი მარჯვნისაკენ მიბრუნდნენ. მას ხელში აქვს ინგლისური-იტალიური, დანიური-პორტუგალიური, თურქულ-ფრანგული, იტალიურ-ბერძნული და სხვა ლექსიკონები.

ზოგ მატროსს შეუსრულებია განკარგულება, სხვები ელიან, ზოგნი კი ვერ მიმხვდარან. წყობა არეულია.

ჩეხოსლოვაკიის მედალი — საბჭოთა პარტიზანს

პრაღა, 21 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ბ. ლომსკიმ გუშინ აქ საბჭოთა მოქალაქეს მიხეილ იაკობის-ძე საველიევს გადასცა მედალი „პარტიზანის ვარსკვლავი“. ამას იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო.

ომის დროს მ. ი. საველიევი მეთაურობდა პარტიზანთა რაზმს „სამშობლოსათვის“, რომელიც ებრძოდა ფაშისტ დამპყრობლებს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე — იავორნიცაში და ბესკიდის მთებში.

„რითია ვაგონი ავტობუსზე უარესი?“

ჯორჯტაუნი, 21 იანვარი. (საკდესი). ამ დროს, როცა ამერიკის შეერთებული შტატები ვილიონობით დოლარის ვაჭრობას ეწევიან საბჭოთა კავშირთან, ხოლო კანადა და ინგლისი მილიონობით გირვანქა სტერლინგის ვაჭრობას ეწევიან კუბასთან და საბჭოთა კავშირთან, ბრიტანეთის გვიანის მეერ ვაგონებისა და ბრიჯის მაუდგა კუბისათვის შეერთებულ შტატებს ძირგამომთხრელ საქმიანობად მიაჩნიათ, წერს ლაიკის გაზეთი „ბლანერი“. საინტერესოა ვიცოდეთ, რითია ვაგონი ბრიჯზე, ხორბალსა და ავტობუსზე უარესი? უნდა ვალიაროთ, რომ შეერთებული შტატები სხვადასხვა საბაბით უდგებიან სხვადასხვა ქვეყანას, აცხადებს გაზეთი.

კონფერენცია შეწყდა

ლონდონი, 21 იანვარი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ლონდონის კონფერენციამ კვიპროსის საკითხზე 48 საათით შეწყვიტა თავისი მუშაობა. საინფორმაციო სააგენტოთა ცნობებით, შესაძლებელია იმისათვის გამოცხადეს, რომ თურქთა თემს კვიპროსში საშუალება მისცენ მოეთათბიროს კვიპროსის პრეზიდენტს

.

მდგომარეობა ნორმალური ხდება

დარ-ეს-სალამი, 21 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ჯ. დიშლუკი იტყობინება:

ტანგანიკის არმიაში გუშინდელი მღელვარების შემდეგ, რომელიც გამოიწვია იმან, რომ ჯარისკაცები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას და ყველა ინგლისელი ოფიცრის სამსახურიდან დათხოვნას, ტანგანიკის დედაქალაქში მდგომარეობა ნორმალური ხდება. ქალაქში აღადგინეს წესრიგი.

თათბირი გაერთიანებულ ერებში

ნიუ-იორკი, 21 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ს. ლოსეი გვატყობინებს:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლათინური ამერიკის 20 ქვეყნის მუდმივმა წარმომადგენლებმა გუშინ დახურული თათბირი გამართეს პანამის კრიზისის საკითხზე. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში აღნიშნავენ, პანამის წარმომადგენელმა ბოიდმა ამ თათბირზე განაცხადა, თუ შეერთებული შტატები არ დათანხმდებიან, რომ გადასინჯოს 1903 წლის ხელშეკრულება პანამის არხის შესახებ, პანამა დაჟინებით მოითხოვს, რომ უშიშროების საბჭომ ენერგიული ღონისძიებანი მიიღოს ოლიგარქიულ-ოლიგარქიულ ძალადობის ფაქტებზე — ეს ეხება